მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშემწყობი ლიდერი უფროსი მასწავლებლის - იაგო დავითაძის -

თვითშეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით , კოლეგებთან ერთად განვიხილეთ თემატური მატრიცების შედგენისა და გამოყენების პირველი შედეგები. დავნერგეთ განვითარების გზები. შევადგინეთ და გამოვცადეთ კომპლექსური დავალებების ეფექტიანობა. თავდაპირველად ვშიშობდით კიდეც, რომ პატარებს გაუჭირდებოდათ დაძლევა, მაგრამ ეს შიში მალევე გაქრა. როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეებს ჰქონდათ წინაპირობა, რაც ძკირითადი საფუძველი გახდა. ეს იყო აქტივობების დამოუკიდებლად შესრულების უნარი, რაც ძირითადი საფუძველი გახდა. განსაკუთრებული მუშაობა დაგვჭირდა ინსტრუქციების ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულების ჩვევაზე დასაუფლებლად. ვიზრუნეთ განმავითარებელი შეფასების ფორმების განვითარებაზე. დაგვეხმარა კოლეგა, ლიდერი მასწავლებელი ნინო გოგიჩაიშვილი , რომელმაც გაგვიზიარა ტრენინგზე მიღებული გამოცდილება სოციო- ემოციური უნარების განმავითარებელი შეფასების ფორმების დანერგვაზე.

სუსტ მხარედ მიგვაჩნია იმ მოსწავლესთან მუშაობა , რომელსაც უძნელდება კომპლექსური დავალების შესრულება განსაზღვრულ დროში. ამ მიმართულებით მასწავლებელმა ,ქეთევან მიქელაძემ, ითხოვა დახმარება. იგივე საჭიროება სხვებსაც ჰქონდა, ამიტომ დაიგეგმა მიზნობრივი სემინარი. ასევე ვერ შევასრულეთ დირექციის ნდობა, რომ ჩვენ თვითონვე პირველ სემესტრში დაგვეგეგმა სტატუსის შენარჩუნებისთვის სავალდებულო გაკვეთილები.

მეორე სემესტრში თემატური მატრიცის მიხედვით ახლებურად გაკვეთილის ჩატარების გარკვეული გამოცდილება შევიძინეთ და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მეორე სემესტრის თებერვლის თვიდან დავიწყებთ შესაფასებელი გაკვეთილების ჩატარებას.

განვაგრძობთ მუშაობას წარმატებული გამოცდილების გასაზიარებლად. პერიოდულად ჩავატარებთ თვითშეფასებას და შეფასების შედეგებს გამოვიყენებთ

მე-3-ე თაობის ე.ს.გ. წარმატებით განხორციელებისათვის, კომპლექსური დავალებების ეფექტიანად შედგენისა და წარმართვაზე აქცენტს გავაკეთებ დავალების შესრულების პროცესში. რისთვისაც ხარისხის მართვის კორდინატორთან ერთად ვიზრუნებთ განვითარებისთვის.

სიტუაციური ლიდერი ი. დავითაძე

2021 წ. დეკემბერი